

ქ.გორში სუბიშვილის პარალერული შიდა კვარტალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი #1

ქ. გორი

21 იანვარი 2018 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის მერიის პირველი მოადგილის სამუშაო ოთახში.

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

გელა კაპანაძე - კომისიის თავმჯდომარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი მოადგილე;

დალი ტლაშაძე - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

მირიან კლიმიაშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

სატენდერო აპარატის შემადგენლობა:

ალექსანდრე თარხნიშვილი - აპარატის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების ხელმძღვანელი;

სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებოდნენ:

თეიმურაზ მანველიშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ზურაბ ჯალაღანია - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

დღის წესრიგი:

1. ქ.გორში სუბიშვილის პარალერული შიდა კვარტალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა;
2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა;
3. ბიჯის ოდენობის განსაზღვრა.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ალექსანდრე თარხნიშვილმა სატენდერო კომისიას წარუდგინა გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა სატენდერო დოკუმენტაცია, კომისიის წევრები გაეცნენ სატენდერო დოკუმენტაციას, განსაზღვრეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება და ბიჯის ოდენობა.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია (ოქმს თან ერთვის);
2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს **310 000 (სამასათი ათასი)** ლარით დ.ღ.გ.-ს ჩათვლით;
3. ბიჯის ოდენობად განისაზღვროს **3 100 (სამი ათას ასი)** ლარი;
4. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

კომისიის თავმჯდომარე

გელა კაპანაძე

კომისიის წევრები

დალი ტლაშაძე

მირიან კლიმიაშვილი

კომისიის აპარატის წევრი

ალექსანდრე თარხნიშვილი